ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3604094

ნომერი: AR1533593

თარიღი : 05.10.2017

გაცემის თარიღი : 11.10.2017

გაცნობის თარიღი : 11.10.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აჭარის ქუჩა , N 8 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა გოგბერაშვილი პ/ნ 21001007089
- თბილისი. ს.ცინცაძის N26ა

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : #1127
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.11.2008

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენმიერ ელექტრონულად ატვირთული 2017 წლის 05 ოქტომბრის AR1533593 განცხადება დამასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთშემდეგს:

1.ვინაიდან , თქვენს მიერ არ არის წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპლაიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი - ექსპლუატაციაში მიღებაზე უარი სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს აღნიშნულ განაცხადზე;

2.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები. -> შესაბამის ველებში ჩაწერეთ შეთანხმებული პროექტის მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი და თარიღი ნ/873-1 (09.07.2009);

3.წარმოდგენილ იქნეს განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

· ვინაიდანბრძანება N 01/882 (09.07.2009) შეთანხმებული გაქვთ ,,ტუბერკულიოზის სათავო ლაბორატორიის შენობის არქიტექტურული პროექტი'' და შენობის კლასი განსაზღვრულია - III , საჭიროა დააზუსტოთ შენობის კლასი და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით;

ამასთან, გაითვალისწინეთ,

· თუ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოებით შეიცვალა სარგებლობის უფლებით აღებული ფართი, მაშინ საჭიროა მოსარგებლის თანხმობის წარმოდგენა.

· საჭიროა წარმოდგენილ იქნეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებული ვალდებულების საფუძველი და საჭიროების შემთხვევაში საფრანგეთის ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ექიმები საზღვრების გარეშე“-ს საქართველოს წარმომადგენლობის თანხმობა.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.